945. ლეჟავა ნ. შეხედეთ, მწვრთნელი ლეგენდა // ომეგა . – 2001 . - № 2 . – გვ. 98 – 101.
მწვრთნელი მხატვრულ ტანვარჯიშში ნელი სალაძე. საქმიანობა. ახლავს ზურაბ გენგიურის ფოტოები.
946. მესტვირიშვილი გ. ტურისტული რეგიონი და მისი ფორმირების განმსაზღვრელი ფაქტორები საქართველოში // ეკონომიკა . – 2001 . - № 9 – 10 . – გვ. 59 – 64.
ტურისტული რეგიონის არსისა და ფუნქციონირების ძირითადი საკითხები.

947. მეტრეველი მ. ტურიზმის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში // ეკონომიკა . – 2001 . - № 8 . – გვ. 86 – 92.

ტურიზმის განვითარების ორგანიზაციის ძირითადი კომპონენტები.

948. მეხრიშვილი ჯ. ელვისებური დარტყმები // დროშა . – 2000 . - № 1 – 3 . – გვ. 26 – 27.

მოკრივე კობა გოგოლაძის სპორტული ბიოგრაფია.

949. მოსეშვილი ლ. მოსეშვილს მომავლის სჯერა // იმიჯი . – 2002 . - № 10 . – გვ. 54 – 55.

ინტერვიუ თბილისის «დინამოს» საკალათბურთო გუნდის მთავარ მწვრთნელ ლევან მოსეშვილთან გუნდის პრობლემებზე, საერთაშორისო ჩემპიონატებისათვის გუნდის მზადებაზე / ესაუბრა დავით ცაბაძე.

950. მოსულიშვილი მ. გამოთხოვება ფეხბურთის თავადთან // იმიჯი . – 2002 . - № 10 . – გვ. 24 – 25.

კახი ასათიანის გარდაცვალების გამო.

951. «მცინვარო, ლურჯი ცის საყურევ...» // ომეგა . – 2001 . - № 2 . – გვ. 81.

ალპინისტური ასვლების ისტორია მცინვარწვერზე; ხდის ხეობის დალაშქრული მწვერვალები. ახლავს ფოტომასალა.

952. პაპუაშვილი ნ. «ადამიანი გამარჯვებისთვისაა გაჩენილი» // ომეგა . – 2001 . - № 10 . – გვ. 115 – 119.

მკლავჭიდის ისტორია. დღევანდელი და მკლავჭიდელები.

953. პეტრიაშვილი ზ. მჯერა – საქართველოს ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახდება: ნინო ჩხიკვიშვილს ესაუბრება ზურაბ პეტრიაშვილი // ომეგა . – 2001 . - № 5 . – გვ. 115 – 121.

ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კოლეგიის წევრი ზურაბ პეტრიაშვილი ქართულ ეროვნულ ფეხბურთზე, საფეხბურთო პრობლემებზე.

954. სანამ კაცს უჭირს // ომეგა . – 2000 . - № 5 . – გვ. 130 – 131.

მსოფლიო ჩემპიონი ჭიდაობაში კობა კურტანიძე. პრობლემები ჯანმრთელობასთან.

955. ფრუიძე ლ. ოცნების წიგნი ანუ ქართული ალპინიზმის სადიდებელი // ნუგეში . – 2002 . - № 3 – 4 . – გვ. 131 – 134.

რეცენზია ნელი ქველაძის ნაშრომზე «მთა-ყინულეთის არწივი» (თბ. , 2001), რომელიც «მთის არწივად» წოდებულ ალპინისტს ჯუმბერ კახიანს ეძღვნება.

956. ქართველი ბრინჯაოსნები სიდნეის გულში // მუდმივი კავშირის სამყარო . – 2000 . - № 4 . – გვ. 20 – 21; პარალელ. ტექსტი ინგლ. ენაზე.

2000 წელს ავსტრალიის ქალაქ სიდნეიში ჩატარებულ ოლიმპიადაზე გამარჯვებული ქართველები.

957. ქირია შ. «რკინის რაშზე» ამხედრებული ლეგენდა // ახალი ხიდი . – 2002 . - № 4 . – გვ. 58. ტექსტი ქართ. და თურქ. ენებზე.

ინჟინერ-ელექტრიკოსი, გამომგონებელი და სპორტსმენი ჯუმბერ ლეჟავა – ველოსიპედით მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო, ბიოგრაფიული ცნობები.

958. ღვინჯილია მ. აგროტურიზმის პერსპექტივები საქართველოს შავიზღვისპირეთში // მეცნიერება და ტექნიკა . – 2000 . - № 7 – 9 . – გვ. 72 – 74.

ტურიზმის ახალი მიმართულების – აგროტურიზმის სწორი ორგანიზებისა და სოფლის ცხოვრებაში მისი ფართოდ დანერგვის მნიშვნელობა სოფლის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ინფრასტრუქტურის მთელი რიგი დარგების განვითარების საქმეში.

959. ჭეიშვილი გ. ედელვაისი ღმერთის ყვავილია // განთიადი . – 2003 . - № 1 – 2 . – გვ. 186 – 192.

ალპინისტ ლევან ახვლედიანის ლიტერატურული პორტრეტი.

960. ჭელიძე დ. მერცხალს გუმანი არასდროს დალატობს // ომეგა . – 2001 . - № 4 . – გვ. 118 – 122.

ფეხბურთელ მიშა მესხის გახსენება – სპორტული ცხოვრების გზა.

961. ჭელიძე დ. სულიკო // ომეგა . – 2001 . - № 7 . – გვ. 110 – 113.

სპორტის დამსახურებული ოსტატის, ქუთაისის კალათბურთის სკოლის მწვრთნელ სულიკო თორთლაძის მოღვაწეობა.

962. ჯიბუტი გ. დრონი მეფობენ // ომეგა . – 2001 . - № 3 . – გვ. 88 – 91.

პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი სიმადლეზე ხტომაში რობერტ შავლაყაძე – სპორტული კარიერა.

ფილოლოგიური მეცნიერებანი

963. აფრიდონიძე შ. ჩვენი ენა ქართული . – თბ. , 2002 . – 167 გვ.

1998 – 99 წლების ტელესაუბრების წიგნად გამოცემული კრებული კომპლექსური სავარჯიშოებით, რომლის მიზანია მეტყველებაში ყველაზე გავრცელებული ტიპობრივი შეცდომების დაძლევა.

964. ბერულავა რ. ენობრივი გლობალისტიკა, ენის სიწმინდე, სიტყვათშემოკლება, სულხან-საბა, გრანელის ვირტუალური პოეტიკა . – თბ. , 2003 . – 128 გვ.

ენის სიწმინდის, მართლწერის დაცვის, ქართული სიტყვათშემოკლების ახალი წესები; ტერენტი გრანელის პოეტიკის, სიტყვა «ჟღურტულის» სულხან-საბასეული განმარტების, თანამედროვე დარგების ტერმინოლოგიის საკითხები და სხვ.

965. გეგუჩაძე ლ. ქართული ენა : ნაწ. 4 . – თბ. , 2003 . – 76 გვ.

სახელმძღვანელო უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის.

966. ენათმეცნიერების ინს-ტი (თბილისი). სამეცნიერო სესია (61; 2002). 61-ე სამეცნიერო სესიის მასალები, 2002 წლის 17 – 19 დეკემბერი : სესია ეძღვნება ... პროფ. ბესარიონ ჯორბენაძის დაბადების 60 წლისთავს / [რედ. : გ. კვარაცხელია] . – თბ. , 2002 . – 39 გვ.

მოხსენებათა თეზისები ეხება ქართულ, აფხაზურ, მეგრულ-ჭანურ, ბაცბურ, ნახურ ენებსა და სხვადასხვა გრამატიკულ საკითხებს.

967. ვარლამ თოფურია – 100 : [თსუ, ფილ. ფაკ-ტი, საქ. მმეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინ-ტი]; სარედ. კოლ. : ე. ბაბუნაშვილი (მთ. რედ.) და სხვ.] . – თბ. : , 2001 . – 200 გვ.

ე. ბაბუნაშვილისა და თ. უთურგაიძის წერილი ვარლამ თოფურიას ცხოვრებასა და სამეცნიერო საქმიანობაზე. თ. გამყრელიძის, კ. ჰ. შმიდტის, ვ. ბოდერის, ა. არაბულის, შ. აფრიდონიძის და სხვ. შრომები ენათმეცნიერების საკითხებზე.

968. კაშია ჯ. ენა, საზრისი, ყოფიერება... ქართველურ ენათა ტოპოლოგია . – პარიზი-თბილისი, 2002 . – 318 გვ.

969. მართლწერის წესები და სავარჯიშოები : კრებ. შეადგინეს დარეჯან თვალთვაძემ და ნანა გაფრინდაშვილმა . – თბ. , 2004 . – 199 გვ.

ძირითადი გრამატიკული ცნებებისა და კატეგორიების განმარტებები.

970. საქართველოს რესპ. დიალექტოლოგიური სესია (22; 2002; თბილისი). XXII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია : ეძღვნება... პროფ. ბ. ჯორბენაძის დაბადების 60 წლისთავს, 2002 წლის 5 – 6 ნოემბერი . – თბ. , 2002 . – 100 გვ.

მუშაობის გეგმა და წარმოდგენილი მასალის მოკლე მიმოხილვა.

971. საქართველოს რესპ. დიალექტოლოგიური სამეცნ. სესია (23; 2003; თბილისი). XXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია : მასალები, 2003 წლის 17 – 18 ოქტ. ეძღვნება ი. ქეშიკაშვილის ხსოვნას . – თბ. , 2003 . – 88 გვ.

სესიის მუშაობის გეგმა და თეზისები.

972. ყაუხჩიშვილი თ. საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი . – თბ. , 2004 . – 419 გვ.

საქართველოში გამოვლენილი ბერძნული წარწერების კორპუსის მეორე გამოცემაში მასალა დალაგებულია გეოგრაფიული პრინციპით. ნაშრომს ერთვის საქართველოს ბერძნული წარწერების ვრცელი მიმოხილვა ქართულ და გერმანულ ენებზე.

973. ძაძამია მ. , ძაძამია ც. ეპილოგი ნაშრომისა «სიტყვათწარმომავლობა – ენის წარმოშობის საფუძველი” . – სენაკი, 2003 . – 29 გვ.

მოკლე ამონაწერები ნაშრომის რეცენზია-შეფასებებიდან.

974. Amiridze, N. Reflexivization Strategies in Georgian = Reflexivisatie Strategieën in het Georgisch / Proefschrift ter vertwijging van de graad van doctor aan de Univ. Utrecht op gezag van de Rector Magnificus, Prof. W. H. Gispen, ingevolge het besluit van het College voor Promoties in het openbaar te verdedigen op donderdag 30 maart 2006 des ochtends te 10 : 30 uur . – Tb., 2006. – XIV, 317 p.

წინო ამირიძის სადისერტაციო ნაშრომში განხილულია რეფლექსურობის გამოხატვის საშუალებები ქართულ ენაში.

975. აკაკი შანიძის უცნობი წერილები. ვარლამ თოფურიას არქივიდან // ბურჯი ეროვნებისა . – 2002 . - № 9 . – გვ. 17.

ვარლამ თოფურიასა და არნოლდ ჩიქობავასადმი გაგზავნილი საქმიანი წერილები.

976. არაბული ა. ნიკოლოზ ჯანელიძე – ემიგრანტის ცხოვრების ფურცლები // ბურჯი ეროვნებისა . – 2000 . - № 1 – 2 . – გვ. 4 – 6.

გერმანიაში მოღვაწე ქართველი ენათმეცნიერი, ფილოლოგი, მთარგმნელი (1921 – 1993).

977. არაბული ა. ქართული ენის სწავლების მდგომარეობის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში // ბურჯი ეროვნებისა . – 2002 . - № 10 – 12 . – გვ. 2 – 5.

მოხსენება წაკითხული 2002 წლის 28 ნოემბერს საქ. პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის სხდომაზე.

978. აფრიდონიძე შ. მედიამ პასუხისმგებლობისაგან თავი გაითავისუფლა // საქართველოს ქალი . – 2000 . - № 3 – 4 . – გვ. 2 – 3.

საუბარი ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების ხელმძღვანელ შუქია აფრიდონიძესთან დღევანდელი სასაუბრო ენისა და მეტყველების კულტურის საკითხებზე / ესაუბრა ნ. ჯაფარიძე.

979. ბაბუნაშვილი ე. ლეგენდარული მეცნიერი, პიროვნება // ბურჯი ეროვნებისა . – 2001 . - № 3 – 4 . – გვ. 3 – 4.

საუბარი ენათმეცნიერ ელენე ბაბუნაშვილთან ვარლამ თოფურიას ღვაწლზე ქართული ენისა და ქართული მეცნიერების წინაშე.

980. ბართაია ნ. ეტიმოლოგიური ძიებანი თბილისური მეტყველებიდან // ბურჯი ეროვნებისა . – 2002 . - № 3 – 4 . – გვ. 27.

განხილულია ლექსემები : ნახუნაკი, ოვსილა, სირი.

981. ბართაია ნ. ორ ტერმინთან დაკავშირებით : 1. სულთანნი, 2. გულამი // ბურჯი ეროვნებისა . – 2002 . - № 7 – 8 . – გვ. 30.

განმარტება, სემანტიკური დატვირთვა, ფონეტიკური ვარიანტები.

982. ბახია-ოქრუაშვილი ს. აფხაზეთის ტოპონიმია და ანთროპონიმია: I. ტოპონიმური ძიებანი // ანალები . – 2004 . - № 2 . – გვ. 36 – 43. რეზ. რუს. და ინგლ. ენაზე.

ჩამოსახლებულთა სიხშირე აფხაზეთის ტერიტორიაზე და შედეგად მრავალი ახალი ტოპონიმის წარმოქმნა.

983. ბესარიონ ჯორბენაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები // ბურჯი ეროვნებისა . – 2002 . - № 9 . – გვ. 2 – 5.

ენათმეცნიერის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო მასალა.

984. ბიწვინაშვილი ს. «ქართლისა» და «საქართველოს» ეტიმოლოგიური წარმოშობის შესახებ // ნუგეში . – 2003 . - № 1 – 2 . – გვ. 104 – 111.

985. ბურჭულაძე გ. კავკასიოლოგიური ტალანტის ლინგვისტი // ბურჯი ეროვნებისა . – 2001 . - № 5 . – გვ. 22 – 23.

საქართველოში დაბადებული ოსი ენათმეცნიერის ვასილ აბაევის ცხოვრება და მოღვაწეობა, ურთიერთობა ქართველ მეცნიერებთან, ქართული ენისადმი მიძღვნილი გამოკვლევები – დაბადების 100 წლისთავის გამო.

986. ბურჭულაძე რ. ეგვიპტური იეროგლიფიკა და ახლო აღმოსავლეთის ონომასტიკის ზოგიერთი საკითხი : («ურარტუს» ეტიმოლოგიისათვის) // საისტორიო შტუდიები . – 2003 . – ტ. 4 . – გვ. 195 – 202. რეზ. რუს. ენაზე.

987. ბურჭულაძე რ. ტერმინ «ურარტუს» წარმოშობისათვის // ანალები . – 2004 . - № 1 . – გვ. 31 – 33. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

მოსაზრება ტერმინის ეგვიპტური წარმომავლობის შესახებ.

988. გრიშაშვილი ი. ქალაქური ლექსიკონი : (საარქივო მასალა) / გამოსაც. მოამზადა რუსუდან კუსრაშვილმა . – თბ. , 1997 . – 304 გვ.

რეც. : ბედოშვილი გურამ. ქართული ლექსიკოგრაფიის ჩინებული შენაძენი // ბურჯი ეროვნებისა . – 2001 . - № 1 – 2 . – გვ. 33 – 34.

989. დანელია ვ. კოლხური ენა // ბურჯი ეროვნებისა . – 2001 . - № 5 . – გვ. 12 – 14.

ისტორიული კოლხური ანუ ზანური ენის, მისი ორი კილოს – მეგრულისა და ლაზურის, მათი გავრცელების არეალის, დიფერენციაციისა და ურთიერთმიმართების შესახებ – 1984 წელს წაკითხული ლექციის ჩანაწერი.

990. დანელია ვ. ნარკვევები ქართული სამწერლო ენის ისტორიიდან. ტ. 1 . – თბ. , 1998 . – 540 გვ.

რეც. : შარაშენიძე ნინო. წიგნით გაგრძელებული სიცოცხლე // ბურჯი ეროვნებისა . – 2000 . - № 4 . – გვ. 14.

991. დვალიშვილი ლ. ილია ჭყონია და ქართული ენა // ბურჯი ეროვნებისა . – 2001 . - № 1 – 2 . – გვ. 10 – 14.

ი. ჭყონიას შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, სალექსიკონო მუშაობა, პუბლიცისტური წერილები ქართული ენის საკითხებზე.

992. ვარლამ თოფურიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები // ბურჯი ეროვნებისა . – 2001 . - № 3 – 4 . – გვ. 2.

ენათმეცნიერის დაბადების 100 წლისთავის გამო.

993. ვაშაკიძე ვ. თინათინ ყაუხჩიშვილი // ქართული წყაროთმცოდნეობა . – 2000 . – კრ. 9 . – გვ. 10 – 11.

აკადემიკოსის ღვაწლი საქართველოში შემორჩენილი ბერძნული ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლისა და გამოცემის საქმეში.

994. ზანაძე მ. რთული ქვეწყობილი წინადადების სემანტიკური სტრუქტურა // ინტელექტი . – 2002 . - № 1 . – გვ. 69 – 71. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

995. თედო რაზიკაშვილის ლექსიკონი მარგინალებით // ბურჯი ეროვნებისა . – 2000 . - № 5 . – გვ. 20 – 21.

მწერალ თ. რაზიკაშვილის მიერ გაზეთ «ივერიაში» გამოქვეყნებული სალექსიკონო მასალა – დალაგებული ანბანის მიხედვით.

996. თევზაძე ვ. ტოპონიმი «ჩაკოხის» წარმომავლობისათვის // აფხაზეთის მოამბე . – 2000 . - № 4 . – გვ. 86 – 87. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

სოფელ დაბლაგორში (სამტრედიის რაიონი) დასახლებული მიკროუბნის სახელწოდება, რომელიც საკვერე ქვისა და კვერის დამზადების ადგილის აღსანიშნად უნდა წარმოქმნილიყო.

997. თოფურია გ. , იმნაიშვილი ვ. ვინფრიდ ბოედერი // ბურჯი ეროვნებისა . – 2000 . - № 4 . – გვ. 4 – 6.

გერმანელი ქართველოლოგის ბიოგრაფია და ღვაწლი ქართველოლოგიური კვლევის საქმეში.

998. თოფურია გ. , იმნაიშვილი ვ. კარლ ჰორსტ შმიდტი // ბურჯი ეროვნებისა . – 2000 . - № 5 . – გვ. 4 – 6.

გერმანელი ქართველოლოგის გამოკვლევები ქართველური ენების გრამატიკული სტრუქტურისა და ისტორიის შესახებ. ურთიერთობა ქართველ ენათმეცნიერებთან.

999. იმნაიშვილი ვ. ნიკო მარისა და ჰუგო შუხართის ურთიერთობიდან // ბურჯი ეროვნებისა . – 2001 . - № 6 – 7 . – გვ. 7 – 10.

ავსტრიელი ქართველოლოგის არქივში დაცული ნიკო მარის სამი უცნობი წერილი, რომლებიც ქართულ ხელნაწერებსა და ქართული და სემიტური ენების ნათესაობას ეხება.

1000. იმნაიშვილი ვ. ქართული მართლწერის საჭირბოროტო საკითხები : (შენიშვნები «ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონზე») // ლიტერატურა და სხვა . – 2001 . - № 1 . – გვ. 202 – 222.

1998 წლის გამოცემა.

1001. იმნაიშვილი ვ. ჰუგო შუხართი საწერი მაგიდის მიღმა // მწიგნობარი . – 2001 . – გვ. 33 – 64.

ავსტრიელი ქართველოლოგის ღვაწლი ქართული ხელნაწერების დაცვასა და ქართული ენის კვლევის საქმეში. ეპიზოდები მეცნიერის ცხოვრებიდან.

1002. ინაური ვ. ჯავახეთი «ნინოს ცხოვრებაში» // ლიტერატურული ძიებანი . – 2003 . – ტ. 24 . – გვ. 79 – 82. რეზ. ინგლ. ენაზე.

ავიოგრაფიულ ძეგლში ჯავახეთთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი და საინტერესო ფაქტებისა და ჯავახური ტოპონიმების შესახებ.

1003. ინაძე მ. , ლომოური ნ, ლორთქიფანიძე ო, ... ღვაწლმოსილი მეცნიერი // ქართული წყაროთმცოდნეობა . – 2000 . – კრ. 9 . – გვ. 5 – 9.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი თინათინ ყაუხჩიშვილი _ ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა.

1004. იცით, როგორი იყო ვარლამ თოფურია? // ბურჯი ეროვნებისა . – 2001 . – № 1 – 2 . – გვ. 5 – 7.

ენათმეცნიერზე საუბრობენ მისი მოწაფეები : გიორგი როგავა, ბესარიონ ჯორბენაძე, ელენე კოშორიძე, ლია ჭეიშვილი, ნია აბესაძე – დაბადებიდან 100 წლისთავის გამო.

1005. კვანტალიანი შ. რითაც ადამიანის სულში ჩახედვა შეიძლება // საქართველოს ქალი . – 2000 . - № 5 – 6 . – გვ. 18 – 19.

საუბარი ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელთან, პოეტ შარლოტა კვანტალიანთან დღევანდელი ქართული მეტყველების შესახებ / ესაუბრა ნ. ჯაფარიძე.

1006. კვანჭილაშვილი ა. ქართული ენა გლობალიზაციის პროცესში // ლიტერატურა და სხვა . – 2004 . – ნოემბერი . – გვ. 111 – 118.

ავტორის აზრით, მცირერიცხოვანი ხალხებისა და მათი კულტურული თვითმყოფადობისათვის კულტურის გლობალიზაცია სერიოზული საფრთხის

შემცველია. ამგვარი საფრთხის ერთ-ერთი გამოვლინებაა ქართული ენის _ სახელმწიფო ენის _ ფუნქციის შეზღუდვის დაჩქარებული პროცესი.

1007. კიკაჩიშვილი თ. შენთან დარჩენილი ტკივილის სიტბო... // ბურჯი ეროვნებისა . – 2002 . - № 1 – 2 . – გვ. 6 – 9.

ენათმეცნიერ ბესარიონ ჯორბენაძის გახსენება – დაბადების 60 წლისთავის გამო.

1008. კიკნაძე მ. ერთი აღმოსავლური ტერმინი ფარსადან გორგიჯანიძის საისტორიო თხზულებაში // ქართული წყაროთმცოდნეობა . – 2000 . – კრ. 9 . – გვ. 99 – 100. რეზ. ინგლ. ენაზე.

სპარსულ-აზერბაიჯანული ტერმინის _ «შაჰსევენი» («შაჰისევეანი») _ განმარტება.

1009. კოტინოვი ნ. «ვეფხისტყაოსნის» ენის ძირითადი თავისებურებანი // ბურჯი ეროვნებისა . – 2001 . - № 10 – 12 . – გვ. 28 – 29.

არსებითი, ზედსართავი და რიცხვითი სახელების ბრუნების სისტემაში ასახული «ვეფხისტყაოსნის» ენისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები.

1010. კოტინოვი ნ. «ვეფხისტყაოსნის» ენის ძირითადი თავისებურებანი // ბურჯი ეროვნებისა . – 2002 . - № 10 – 12 . – გვ. 25 – 27.

ზმნის უღლების სისტემა. ტმესი – მორფოლოგიური მოვლენა ძველ ქართულში, როცა ზმნისწინსა და ზმნის ფუძეს შორის რაიმე ნაწილაკი ან დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვაა ჩართული.

1011. კოტინოვი ნ. კლასიკური ხანის სალიტერატურო ქართულის ზოგადი დახასიათება // ბურჯი ეროვნებისა . – 2001 . - № 6 – 7 . – გვ. 12 – 13.

XII–XIII სს. სალიტერატურო ქართულის დახასიათება ფონოლოგიური და გრამატიკული სტრუქტურის მიხედვით.

1012. კოჯიმა ი. ძნელი, მაგრამ ლამაზი ენაა ქართული // ბურჯი ეროვნებისა . – 2002 . - № 1 – 2 . – გვ. 22 – 24.

საუბარი იაპონელ ენათმეცნიერთან, ქართველოლოგ იასუჰირო კოჯიმასთან საქართველოზე, ქართულ ენასა და ლიტერატურაზე. საუბარში მონაწილეობდა მისი ქართული ენის მასწავლებელი მაია ლომია / ინტერვიუ მიჰყავდა თ. ხმალაძეს.

1013. ლემონჯავა ნ. კვლავ ზოგიერთი ქართული გვარის რუსული დაწერილობის თაობაზე // აფხაზეთის მოამბე . – 2001 . - № 4 . – გვ. 120 – 121.

ია-ზე და აია-ზე დაბოლოებული ქართული გვარების რუსული დამწერლობის საკითხის განხილვა.

1014. ლია ლეჟავა // ბურჯი ეროვნებისა . – 2000 . - № 4 . – გვ. 20.

ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი – ნეკროლოგი.

1015. ლომთათიძე ქ. ზოგი რამ ბ-ნ ვარლამ თოფურიას შესახებ // ბურჯი ეროვნებისა . – 2001 . - № 5 . – გვ. 5.

ურთიერთობა სტუდენტ-ახალგაზრდობასთან.

1016. მამარდაშვილი თ. მიმღეობის საკითხი ძველ ქართულ გრამატიკაში // ინტელექტი . – 2002 . - № 1 . – გვ. 66 – 68. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

XVIII–XIX სს-ის ქართველ ენათმეცნიერთა (ანტონ I, გაიოზ რექტორი, ვარლამ ერისთავი, დავით ბაგრატიონი, იოანე ქართველიშვილი და სხვ.) გრამატიკის წიგნების განხილვა, რომლებშიც მკვლევართა უმრავლესობა მიმღეობას დამოუკიდებელი მეტყველების ნაწილად მიიჩნევს.

1017. მალრაძე ვ. ბერმუხა // ბურჯი ეროვნებისა . – 2001 . - № 3 – 4 . – გვ. 34.

დაბადების 90 წლისთავის მილოცვა ენათმეცნიერ ლეო კვაჭაძისათვის.

1018. მელიქიშვილი დ. გივი მაჭავარიანის გახსენება // ბურჯი ეროვნებისა . – 2002 . - № 10 – 12 . – გვ. 33.

ენათმეცნიერის ლექციების ჩანაწერების მიხედვით შედგენილი წიგნის – «ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა» – გამოსვლის გამო.

1019. მელიქიშვილი დ. რამდენიმე ფრაგმენტი სტუდენტის დღიურიდან // ბურჯი ეროვნებისა . – 2001 . - № 1 – 2 . – გვ. 8.

ენათმეცნიერი ვარლამ თოფურია, როგორც პიროვნება და როგორც პედაგოგი – დაბადების 100 წლისთავის გამო.

1020. მეტრეველი რ. აკაკი შანიძე // ბურჯი ეროვნებისა . – 2002 . - № 3 – 4 . – გვ. 5 – 6.

რამდენიმე ნაკლებად ცნობილი ფრაგმენტი ენათმეცნიერის ცხოვრებიდან – ა. შანიძის დაბადების 115-ე წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე წარმოთქმული სიტყვა.

1021. მინდა უკეთეს საქართველოში ვიცხოვროთ // ბურჯი ეროვნებისა . – 2002 . - № 9 . – გვ. 12 – 14.

საუბარი საქართველოში ჩამოსული ისრაელის დელეგაციის წარმომადგენელთან – რეუვენ ენოსთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის დოცენტ რუბენ ენუქაშვილთან და ისრაელელ მწერალსა და მეცნიერთან პროფ. ორციონ ბართანასთან, – მათი საქმიანობისა და ისრაელში ქართული ენის მდგომარეობის შესახებ.

1022. მოსია ბ. ცისკრის, ცისკრის ვარსკვლავის, საგამთენებო ვარსკვლავის ტერმინებისათვის // ლიტერატურული ძიებანი . – 2003 . - ტ. 24 . – გვ. 458 – 460. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქართულ ფოლკლორსა და საგალობლებზე დაყრდნობით.

1023. მურღულია რ. ქართველი მამულიშვილი – მიხეილ ყიფიანი // ბურჯი ეროვნებისა . – 2002 . - № 3 – 4 . – გვ. 22.

მიშო ყიფიანი – დიმიტრი ყიფიანის ძმისშვილი, პედაგოგი, საქართველოში ხალხოსნური მოძრაობის აქტიური მოღვაწე, 1914 წელს თბილისში რუსულ ენაზე გამოცემული ქართული გრამატიკის ავტორი. ბიოგრაფიული მონაცემები.

1024. ნაჭყებია ი. ანუ დე გარდანის “Journal d’un voyage” და თიმურათ-მირზა-ს “Vocabulario” “Journal de L’Empire”-ის ფურცლებზე (1808 წ.) // ლიტერატურული ძიებანი . – 2003 . – ტ. 24 . – გვ. 415 – 420. რეზ. ინგლ. ენაზე.

XIX ს-ის დასაწყისში შედგენილი სამეცნიერო ლექსიკონის – “Vocabulario Italiano, Persico et Turco”-ს – ავტორობის საკითხისათვის.

1025. ოთინაშვილი ნ. წარწერებს, ტოპონიმებს იურიდიული დაცვა სჭირდებათ // ბურჯი ეროვნებისა . – 2002 . - № 9 . – გვ. 22.

1922 წელს შიდა ქართლში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნასთან დაკავშირებით ზოგიერთი ძირძველი ისტორიული ტოპონიმის მთლიანად შეცვლისა და ოსურ ენაზე გადაკეთების ფაქტები.

1026. როგორ გვიყვარდით, გვეიმედებოდით // ბურჯი ეროვნებისა . – 2002 . - № 10 – 12 . – გვ. 32.

მოსწავლეებისა და კოლეგების გამოთხოვება ენათმეცნიერ ზურაბ სარჯველაძესთან

1027. სარჯველაძე ზ. «ქართული ენით უცხოელთა დაინტერესებას ხელი უნდა შევუწყოთ”... // ბურჯი ეროვნებისა . – 2001 . - № 5 . – გვ. 7 – 9.

საუბარი სამეცნიერო მივლინებაზე იენის უნივერსიტეტში, იქაურ ქართველოლოგიურ სკოლასა და ცნობილ ქართველოლოგ ჰაინც ფენრიხზე, რომლის დაბადების 60 წლისთავის იუბილევ მის იქ ყოფნას დაემთხვა / ესაუბრა მაია მელიქიძე.

1028. სახლთხუციშვილი უ. «მე მინდა გავხდე წინამძღოლი!” // ბურჯი ეროვნებისა . – 2002 . - № 5 – 6 . – გვ. 12 – 20.

მოგონებები ენათმეცნიერ ბესიკ ჯორბენაძეზე – რიგაში გატარებულ სტუდენტურ წლებსა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოწყობილ ტოპონიმურ ექსპედიციებზე.

1029. სვანიძე დ. ზმნისწინთა მონაცვლეობის მომენტები ალ. ყაზბეგის მიხედვით // ინტელექტი . – 2002 . - № 3 . – გვ. 148 – 150. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

ზმნისწინთა გამოყენების განსაკუთრებული სისტემის არსებობა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ყველა ეტაპზე. ზმნისწინიანი ზმნისა და თანდებულიანი სახელის შესატყვისობის ნიმუშები ალ. ყაზბეგის თხზულებებში.

1030. სიხარულიძე ტ. პეტრე უსლარის სოციოლინგვისტური შეხედულებანი // ბურჯი ეროვნებისა . – 2002 . - № 9 . – გვ. 14 – 16.

რუსი გენერლისა და სახელმწიფო მოღვაწის, ლინგვოსოციოლოგის პეტრე უსლარის როლი და მნიშვნელობა კავკასიური ენებისა და კავკასიური სამყაროს შესწავლა-აღწერაში. მის მიერ ქართული ანბანის შეფასების გეოპოლიტიკური ასპექტები.

1031. სურგულაძე ი. ტერმინ «სკნელის» შესახებ // ანალები . – 2004 . - № 1 . – გვ. 74 – 77. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

გამოხმაურება პროფ. ზ. ალექსიძის წერილზე – «სკნელი, მითი თუ რეალობა» (ენათმეცნიერების საკითხები . – 2002 . - № 1).

1032. ღარიბაშვილი თ. ქართული ენა – ბურჯი ეროვნებისა // ბურჯი ეროვნებისა . – 2002 . - № 7 – 8 . – გვ. 27 – 29.

ქართული სალიტერატურო ენის დღევანდელი მდგომარეობა : პრესის, ტელე-რადიო გადაცემების, ჟურნალისტთა თუ პარლამენტართა მიერ დაშვებული შეცდომებისა და ენაში შემოჭრილი უცხო სიტყვების მაგალითების განხილვა.

1033. ღონდაძე თ. «ვისწავლოთ ქართული» // ბურჯი ეროვნებისა . – 2002 . - № 10 – 12 . – გვ. 10 – 12.

განხილულია ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ეგიდით შექმნილი სახელმძღვანელო «საიმედო» – ქართული ენის შესწავლის ინტენსიური კურსი ჯავახეთში მცხოვრები არაქართულენოვანი ზრდასრული მოსახლეობისათვის.

1034. შარაშენიძე ნ. ერთი მივიწყებული ქართული სიტყვის შესახებ : ახმი // ბურჯი ეროვნებისა . – 2001 . - № 1 – 2 . – გვ. 30 – 32.

ახმი – ქართული შესატყვისი რუსიციზმისა «პადიომი», ანუ ფეხის ზურგის უმაღლესი წერტილი.

1035. შარაშენიძე ნ. , გაბუნია კ. ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების პრინციპები და შესწავლის პროცესთან დაკავშირებული სირთულეები // ბურჯი ეროვნებისა . – 2002 . - № 10 – 12 . – გვ. 13 – 15.

სომხურენოვანი საჯარო მოხელეებისათვის შექმნილი ქართული ენის შესწავლის ინტენსიური კურსის სახელმძღვანელოს ავტორები გვაცნობენ სახელმძღვანელოს სტრუქტურას, თემებისა და გაკვეთილების აგებულებას, გვთავაზობენ მოსალოდნელი სირთულეების დაძლევის გზებს.

1036. ცაბაძე ნ. ღმერთი, წისქვილი, მეწისქვილე და მეცარი : (წერილი III) // ენერგია . – 2000 . - № 1 . – გვ. 113 – 117.

წყალთან დაკავშირებული მოწყობილობების აღმნიშვნელ ტერმინთა განმარტების ცდა.

1037. ცოცანიძე გ. დღეღამის დროის დანაწილება მეცხვარულ ლექსიკაში // ბურჯი ეროვნებისა . – 2001 . - № 3 – 4 . – გვ. 14 – 15.

მეცხვარეთა ლექსიკა და მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია.

1038. ძაძუა ჯ. მართლწერისა და მართლმეტყველების ისტორიიდან // აფხაზეთის მოამბე . – 2000 . - № 4 . – გვ. 124 – 125. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორია და წინაპირობები.

1039. წერეთელი კ. «მე დღესაც ვცდილობ ძველებური შემართებით ვიმუშავო» : ნესტან ჩხიკვაძეს ესაუბრება კონსტანტინე წერეთელი // ომეგა . – 2001 . - № 2 . – გვ. 91 – 97.

აღმოსავლეთმცოდნე, სემიტოლოგი კ. წერეთელი პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ. ახლავს ფოტო და სოსო წერეთლის ფერწერული ნამუშევრები.

1040. წიკლაური მ. არხილოსკალოს ლექსიკიდან // ბურჯი ეროვნებისა . – 2001 . - № 6 – 7 . – გვ. 20 – 21.

შირაქის ტერიტორიაზე ჩამოსახლებულ მთიელთა ლექსიკისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიმუშის განმარტება : ყაშები, ბულაყი, წეკო, ფუჩინო და სხვ.

1041. ჭეიშვილი ლ. «...საშვილიშვილოდ გარდაეცემის» // ბურჯი ეროვნებისა . – 2001 . - № 3 – 4 . – გვ. 5 – 6.

ვარლამ თოფურიას ღვაწლი ქართული ენის სასკოლო კურსის შექმნასა და ქართული მეთოდოლოგიური კვლევის განვითარებაში – დაბადებიდან 100 წლისთავი.

1042. ჭელიძე ი. «ზვიოიზმი», როგორც სულიერი მდგომარეობა // იმიჯი . – 2002 . - № 3 . – გვ. 46.

კუთხური მეტყველების დამკვიდრების საშიშროება – საზოგადოებისთვის არასასურველი და მიუღებელი მოვლენა.

1043. ჭინჭარაული ალ. ვეფხისტყაოსნის ლექსიკიდან : («გამოვექეც” თუ გამოგექეც”) // ლიტერატურული ძიებანი . – 2003 . – ტ. 24 . – გვ. 243 – 249. რეზ. ინგლ. ენაზე.

ზმნის სადავო ფორმების განხილვა.

1044. ჭუმბურიძე ზ. იან ბრაუნი – 75 // ბურჯი ეროვნებისა . – 2001 . - № 6 – 7 . – გვ. 26 – 27.

პოლონელი ენათმეცნიერის, ქართველოლოგისა და ბასკოლოგის სამეცნიერო მოღვაწეობა.

1045. ხალიმონენკო გ. დაუვიწყარი მასწავლებელი // ბურჯი ეროვნებისა . – 2001 . - № 5 . – გვ. 6.

ენათმეცნიერ ვარლამ თოფურიას დაბადების 100 წლისთავის საიუბილეო საღამოზე წაკითხული უკრაინელი ქართველოლოგის მოგონება.

1046. ხატიაშვილი ხ. ერთი ბიბლიური ფრაზეოლოგიზმის შესახებ : («მე ხელები დამიბანია») // ბურჯი ეროვნებისა . – 2002 . - № 3 – 4 . – გვ. 25.

ფრაზეოლოგიზმის – «ხელები დამიბანია» (ან »ხელებს ვიბან») – წარმოშობისა და გააზრების საკითხი.

1047. ხომტარია-ბროსე ე. მარი ბროსე და ქართველი საზოგადოებრიობა : (ეპისტოლარული მემკვიდრეობის მიხედვით) // მწიგნობარი . – 2002 . – გვ. 76 – 100.

ცნობები მ. ბროსეს მოღვაწეობიდან. განხილულია მეცნიერისადმი თეიმურაზ ბატონიშვილის, პლატონ იოსელიანისა და დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის მიერ მიწერილი წერილები.

1048. ხუციშვილი გ. ტოპონიმ «რაჭის» ეტიმოლოგიისათვის // საისტორიო შტუდიები . – 2003 . – ტ. 4 . – გვ. 190 – 194. რეზ. ინგლ. ენაზე.

ავტორის აზრით ტოპონიმი მზის კულტთან უნდა იყოს დაკავშირებული.

1049. ჯანაშია ნ. ქართველი თურქოლოგების საჩუქარი // ახალი ხიდი . – 2002 . – № 1 . – გვ. 31 – 33. ტექსტი ქართ. და თურქ. ენებზე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თურქოლოგიის განყოფილების თანამშრომელთა მიერ მომზადებული დიდი თურქულ-ქართული ლექსიკონის ორტომეულის გამოსვლა სტამბოლში.

1050. ჯანაშია რ. გიორგი ლომთათიძის ჩანაწერებიდან // ბურჯი ეროვნებისა . – 2000 . - № 1 – 2 . – გვ. 11 – 14.

ფხოვური მეტყველების ნიმუშები. არქეოლოგის არქივიდან.

1051. ჯოხაძე დ. ქართულში უცხო ენებიდან შემოსული ზოგიერთი სიტყვის შესახებ // მეცნიერება და ტექნიკა . – 2000 . - № 7 – 9 . – გვ. 135.

ქართულ ენაში დამკვიდრებული უცხოური წარმოშობის სიტყვებიდან ზედსართავი სახელის არასწორი, ქართული ენისათვის მიუღებელი ფორმით წარმოების მაგალითები.

1052. Kavtaradze Giorgi Leon. Two Transcaucasian Ethnonyms of Anatolian Origin // კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული . – 2001 . – ტ. 10 . – გვ. 39 – 50. რეზ. ქართ. ენაზე.

ანატოლიური წარმომავლობის სომხებისა და ქართველების მიერ ერთმანეთის აღსანიშნად გამოყენებული ეთნონიმები.

ლიტერატურათმცოდნეობა

1053. აბზიანიძე ზ. მეგობრები და კოლეგები (სილუეტები) . – თბ. , 2003 . – 59 გვ.

ლიტერატურული ჩანახატები და საიუბილეოდ დაწერილი თუ გამოსათხოვარი წერილები (ოთარ ჭილაძე, გურამ ასათიანი, გურამ კანკავა, გიორგი მარგველაშვილი,

აკაკი გაწერელია, გივი მაღულარია, გაიოზ იმედაშვილი, გიორგი გაჩეჩილაძე, გოგი ოჩიაური და ბულატი ოკუჯავა).

1054. ადამის აპოკრიფული ცხოვრების ქართული ვერსია / ტექსტი გამოსაც. მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ციალა ქურციკიძემ . – თბ. , 2003 . – 77 გვ.

«ძველი ქართული აპოკრიფული ლიტერატურის ძეგლების” სერიის ერთ-ერთი ნიმუშის «ადამის ცხოვრების” გადამუშავებული კრიტიკული ტექსტი გამოკვლევითურთ.

1055. ალექსანდრე გვახარია / [შემდგ. : ი. კალაძე, რედ. : თ. გამყრელიძე, გ. სანიკიძე. მხატვ. : თ. მირზაშვილი] . – თბ. , 2003 . – 106 გვ.

მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ პრესაში გამოქვეყნებული წერილებისა და ნაშრომების კრებული.

1056. ბარბაქაძე ც. ქართული მჭევრმეტყველების პრაგმატიკა . – თბ. , 2003 . – 256 გვ.

სამქადაგებლო, პოლიტიკური, ფოლკლორული, რიტორიკული ტექსტებისა და დისკუსიების ანალიზი.

1057. ბიბლიეშივილი ი. სული უკვდავი. წ. 1. – ბათუმი, 2003 . – 371 გვ.

აჭარაში მოღვაწე მწერალთა შემოქმედებითი საქმიანობის ანალიზი.

1058. გალაკტიონის სემინარის დღიურები. წ. 2. / [რედ. : რ. მიშველაძე] . – თბ. , 2003 . – 190 გვ.

პოეტის ურთულესი სამყარო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული გალაკტიონის კაბინეტის მიერ ჩატარებულ სემინარზე წაკითხულ მოხსენებებში.

1059. გვინათე კვლავაც / [შემდგ. : გ. ჩხეიძე] . – თბ. , 2002 . – 67 გვ.

წიგნში გასართობი და სახალისო ხერხებით (ვიქტორინა, რებუსი, თავსატეხი და სხვ.) წარმოდგენილია ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების ძირითადი ეპიზოდები.

1060. დავით თედორაძე / [რედ-შემდგ. : ლ. კონცელიძე] . – ბათუმი, 2004 . – 261 გვ.

პოეტ დ. თედორაძისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების, სტატიების, ჩანაწერების, ლექსებისა და მიმართვების კრებული.

1061. დევდარიანი რ. ილია ჭავჭავაძის შემოქმედება . – ქუთაისი, 2004 . – 144 გვ.

მიმოხილულია ილიას საპროგრამო ლექსები და ეპიკური ნაწარმოებები. ნაშრომი განკუთვნილია მეთექვლასელებისა და აბიტურიენტებისათვის.

1062. დიოსკურელი ტ. აღქმა ანუ საოცრებათა სამყაროში . – თბ. , 2002 . – 91 გვ.

პოეტ ვაჟა ეგრისელის პიროვნული და შემოქმედებითი სამყარო.

1063. დოიაშვილი თ. დაბრუნება . – თბ. , 2003 . – 296 გვ.

გაზეთში «ჩვენი მწერლობა» 2000 – 2003 წლებში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილების, ესეების, რეცენზიებისა და ინტერვიუების კრებული.

1064. ვარდოშვილი ე. რელიგიური ნაკადი ილია ჭავჭავაძის ლირიკაში . – თბ. , 2003 . – 135 გვ.

ი. ჭავჭავაძის ლირიკის ბიბლიურ-ქრისტიანული საფუძვლები, ეროვნული სალიტერატურო ტრადიციები, დასავლეთევროპული და რუსული ფილოსოფიის შესატყვისი პრობლემატიკა. ლოცვითი ლირიკის ნიმუშები.

1065. ზოიძე შ. ადამიანი, რომელსაც ღმერთმა აკოცა : წერილები. ესეები. საუბრები. Mმოგონებები . – ბათუმი, 2003 . – 260 გვ.

წერილები კლასიკოსებზე, თანამედროვე მწერლებზე, ლიტერატურისა და ხელოვნების მნიშვნელოვან საკითხებზე.

1066. თავბერიძე ე. სიტყვა ვუთხარ და იწყინა . – ქუთაისი, 2002 . – 159 გვ.

მოსაზრებები და შენიშვნები მიხეილ ჯავახიშვილის, რეზო ჭეიშვილის, რეზო ინანიშვილის, ივანე წიკლაურის, ბესიკ ხარანაულის, ნუგზარ შატაიძის, გრიგოლ ორბელიანის, სანდრო ცირეკიძისა და ეკა ქაჯაიას ნაწარმოებების შესახებ.

1067. თბილისის სახ. უნ-ტი. ფილოლოგიის ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები. წ. 6. ეძღვნება აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის დაბადების 115 წლისთავს . – თბ. , 2002 . – 264 გვ.

თ. ბერიძის, ც. ბურჯანაძის, ე. გამყრელიძის, ქ. გვაზავას და სხვ. ნაშრომები ეხება აკაკი წერეთლის, მიხ. ჯავახიშვილის, ილია ჭავჭავაძისა და სხვ. შემოქმედებას.

1068. თედორაძე დ. ხსოვნის ჩირაღდნები . – ბათუმი, 2004 . – 303 გვ.

სხვადასხვა პერიოდის ჩანაწერები და მოგონებები უმთავრესად ქართველ მწერლებსა და პოეტებზე.

1069. კვაჭანტირაძე თ. სასიტყვეთი : სიტყვიერების მასწავლებლისა და უფროსკლასელის შემხიდებელი . – თბ. , 2002 . – 608 გვ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენისა და სტილისტიკის კურსებზე წაკითხული ლექციების, ქართული ტელევიზიით ყოველკვირეული გამოსვლების, საავტორო პროგრამის «მოგზაურობა სასიტყვეთში», ჟურნალ «ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში» გამოქვეყნებული ნაშრომების კრებული. ნარკვევები შოთა რუსთაველზე, ილია ჭავჭავაძეზე, აკაკი წერეთელზე და სხვ.

1070. კომახიძე თ. ილია ჭავჭავაძე აჭარის დიდი მოამაგე . – ბათუმი, 2004 . – 375 გვ.

ი. ჭავჭავაძის ღვაწლი, ამაგი და დამსახურება აჭარაში ეროვნული ცნობიერების, განათლებისა და კულტურის აღორძინება-აღმავლობის საქმეში.

1071. კუკულაძე ნ. აკაკი ბაქრაძე თანამედროვეთა მონათხრობის მიხედვით . – თბ. , 2003 . – 149 გვ.

ბორის წიფურის, დავით უფლისაშვილის, ნინო ჩხეიძის, მარგალიტა კუნჭულის, ქეთევან ჩუბინიძის, ანა ბერძენიშვილისა და სხვ. მოგონებები მწერალსა და საზოგადო მოღვაწეზე.

1072. მელაძე ლ. ნარკვევები საბავშვო ლიტერატურის ისტორიიდან . – თბ. , 2002 . – 108 გვ.

განხილულია ალ. ყაზბეგის, ცახელის, თედო რაზიკაშვილისა და შიო მღვიმელის საბავშვო ნაწარმოებები.

1073. მეოცნებე მარადიული / რედ. ნ. ხომერიკი . – თბ. , 2003 . – 102 გვ.

მწერლის, ლიტერატურათმცოდნის, დიდი სამამულო ომის ვეტერანის ალექსანდრე კალანდაძის გახსენება, მეცნიერის გარდაცვალებიდან 6 წლის გამომ. ნაშრომს დართული აქვს ფოტოები საოჯახო ალბომიდან.

1074. მიმინოშვილი ო. ქართველი მწერლები ეთნოგრაფიის სამსახურში : (დავით კლდიაშვილი და ვასილ ბარნოვი) . – თბ. , 2002 . – 31 გვ.

დ. კლდიაშვილის მხატვრული შემოქმედების ეთნოგრაფიული თავისებურებები და ვ. ბარნოვის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა.

1075. მირაშვილი ნ. ცოდვა და ქრისტიანული ლეგენდა . – თბ. , 2002 . – 163 გვ.

VII ს-ის ბიზანტიელი საეკლესიო მოღვაწისა და მწერლის, სოფრონ იერუსალიმელის თხზულების «მარიამ ეგვიპტელის ცხოვრების» ანალიზი.

1076. მიქელთაძე ნ. ქრონონავტების მარადიული სვლა : (XX საუკუნის რემითოლოგიზაცია და ო. ჭილაძის რომანი «გზაზე ერთი კაცი მიდიოდა») . – ბათუმი, 2002 . – 179 გვ.

ლიტერატურისა და მითოლოგიის ურთიერთობის პრობლემები. ო. ჭილაძის რომანის «გზაზე ერთი კაცი მიდიოდა» განხილვა ამ კუთხით.

1077. მურმან ლებანიძე : გამოსათხოვარი : 1922 – 2002 / [შემდგ. : ლ. ნანიტაშვილი, ვ. ჯავახაძე; რედ. : ტ. ჭანტურია] . – თბ. , 2002 . – 148 გვ.

პოეტ მურმან ლებანიძესთან გამოსათხოვარი წერილების კრებული.

1078. ნადარეიშვილი გ. სახელმწიფო სამართალი და მორალური ნორმები «ვეფხისტყაოსნის» მიხედვით : (რუსთველოლოგიური დაკვირვებანი) . – თბ. , 2002 . – 83 გვ.

1079. ნიკოლეიშვილი ა. ლიტერატურული ნარკვევები . – ქუთაისი, 2002 . – 264 გვ.

მე-19 ს-ის მეორე ნახევრისა და მე-20 ს-ის დასაწყისის ქართული მწერლობა; ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ეგნატე ნინოშვილის, დავით

კლდიაშვილის, შიო არაგვისპირელისა და გიორგი შერვაშიძის შემოქმედების მიმოხილვა.

1080. ნიკოლეიშვილი ა. მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები . წ. IV . – ქუთაისი, 2003 . – 726 გვ.

მე-20 ს-ის ქართული მწერლობის განვითარების უმთავრესი პერიოდები და ძირითადი ტენდენციები; შალვა დადიანის, მიხეილ ჯავახიშვილის, ალექსანდრე აბაშელის, სერგო კლდიაშვილის, ტერენტი გრანელის, ლევან გოთუას და ირაკლი აბაშიძის შემოქმედების მიმოხილვა და ამავე პერიოდის ემიგრანტი მწერლების – აკაკი პაპავას, სიმონ ბერეჟიანის, გიორგი ყიფიანის ლიტერატურული მემკვიდრეობის ანალიზი.

1081. ნიკოლეიშვილი ა. XX საუკუნის ქართული მწერლობა . – ქუთაისი, 2002 . – 603 გვ.

სამოღვაწეო ასპარეზზე ამ საუკუნის პირველ ნახევარში გამოსულ მწერალთა (ვ. ბარნოვი, კ. მაყაშვილი, ჭ. ლომთათიძე, შ. დადიანი და სხვ.) ლიტერატურული პორტრეტები.

1082. ორბელიანი ს.-ს. ხამს სიბრძნისა გაგონება : კრებული შეადგინა, წინათქმა, შენიშვნები და გამოკრებილი ლექსიკონი დაურთო გიორგი გაბუნიაძემ. – თბ. , 2002 . – 128 გვ.

ქართველი მეიგავისა და ლექსიკოგრაფის, სულხან-საბა ორბელიანის თხზულებებიდან შერჩეული შეგონებებისა და დარიგებების კრებული. მასალა განლაგებულია თემატურად ანბანის რიგზე.

1083. პაიჭაძე თ. ლიტერატურული წერილები . – თბ. , 2003 . – 255 გვ.

ქართველი პოეტების სამი მუზა – მერი შერვაშიძე, თამუნია წერეთელი და ელენე დარიანი. გამოკვლევები და წერილები გალაკტიონ ტაბიძეზე, ქართველ 50-იანელებზე, ჭაბუა ამირეჯიბსა და შოთა ნიშნიანიძეზე.

1084. ჟორჟოლიანი ლ. «ზააქიანის» სპარსული და ქართული ვერსიები . – თბ. , 2003 . – 156 გვ.

ფირდოუსის «შაჰ-ნამეს» ერთ-ერთი თქმულების სპარსული პროზაული ვერსია და ქართულ თარგმანებში წარმოდგენილი ვარიანტები.

1085. ტაბიძე გ. ლექსები . – თბ. , 2003 . – 186 გვ.

გალაკტიონ ტაბიძის ლექსების პარალელური თარგმანი რუსულ ენაზე შესრულებულია თემურ რუხაძის მიერ.

1086. ფაჩულია თ. გურამ ასათიანის შემოქმედება . – თბ. , 2002 . – 162 გვ.

ლიტერატურათმცოდნის ცხოვრების გზა, მისი მოღვაწეობა და სალიტერატურო კრიტიკის სტილი.

1087. ქადაგიძე მ. სივრცეში დარჩენილი ფრაზები : კონნე სპერელლი (კონსტანტინე გაჩეჩილაძე) ტერენტი გრანელის შესახებ . – თბ. , 2003 . – 63 გვ.

მე-20 ს-ის ორი მოღვაწის _ პოეტ ტერენტი გრანელისა და მწერალ კონნე სპერელის მეგობრობისა და ერთობლივი საქმიანობის ამსახველი დეტალები.

1088. ქართველი მწერლები სკოლაში. წ. 1 : ალექსანდრე ჭავჭავაძე (1786 – 1846); გრიგოლ ორბელიანი (1804 – 1883) . – თბ. , 2003 . – 215 გვ.

რომანტიკოსების _ ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის სასკოლო პროგრამაში შეტანილი ნაწარმოებების მიმოხილვა.

1089. ხარაზი შ. სიცოცხლე გრძელდება . – ბათუმი, 2002 . – 260 გვ.

პოეტის, მთარგმნელისა და საზოგადო მოღვაწის _ მამია ხარაზის ცხოვრება და საქმიანობა.

1090. ხორნაული გ. ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი . – თბ. , 2003 . – 422 გვ.

ნაშრომისათვის გამოყენებულია ვაჟა-ფშაველას თანამედროვეებისა და ახლობლების მონათხრობები, გიორგი და ვანო ხორნაულების ჩანაწერები და სოლომონ ყუბანეიშვილის წიგნი «ვაჟა-ფშაველა (დოკუმენტები და მასალები)».

1091. ხორნაული ნ. «ქროლვანი უნაპირონი” : ოჯახური ისტორიები . – თბ. , 2002 . – 120 გვ.

ესეისტური წერილები მე-20 ს-ში მოღვაწე ინტელიგენციის წარმომადგენლების _ ლადო და ვახტანგ კოტეტიშვილების, ბაბო დადიანის, დავით ანდლულაძის ოჯახებზე, მათ შვილებსა და შვილიშვილებზე.

1092. აბზიანიძე ზ. ლიტერატურული პორტრეტები : ბესიკი. ვახტანგ ორბელიანი. რაფიელ ერისთავი // ლიტერატურა და სხვა . – 2001 . - № 1 . – გვ. 173 – 189.

1093. აბულაძე ც. ქართული თურქოლოგიის ფუძემდებელი // ახალი ხიდი . – 2002 . - № 2 . – გვ. 54 – 57. ტექსტი ქართ. და თურქ. ენებზე.

აკადემიკოს სერგი ჯიქიას ცხოვრება და მოღვაწეობა.

1094. ავალიანი ლ. XX საუკუნის დასასრულის ვნებანი : (ახალი სახელები ქართულ პროზაში) // მწიგნობარი . – 2002 . – გვ. 23 – 42.

კოტე ჯანდიერის, აკა მორჩილაძის და ზაზა თვარაძის წიგნების განხილვა.

1095. აკუნინი ბ. ჯერ ღირსება და მერე დანარჩენი _ HONOR PRIMUM, ALLA DEINDE! // იმიჯი . – 2002 . - № 8 . – გვ. 32 – 34.

ინტერვიუ რუსეთში მცხოვრებ მწერალ ბორის აკუნინთან ანუ გრიგოლ შალვას ძე ჩხარტიშვილთან მისი შემოქმედებითი ცხოვრების შესახებ / ესაუბრა მწერალი მიხომოსულიშვილი.

1096. ალექსანდრე გვახარია (1929 – 2002) // ქართველოლოგი . – 2004 . - № 11 . – გვ. 48 – 49. ტექსტი ქართ. და ინგლ. ენებზე.

ქართულ-ირანული ურთიერთობების მკვლევარი, ირანისტი – გამოსათხოვარი წერილი.

1097. ალხაზიშვილი გ. ვაჟას თვალებით // ომეგა . – 2001 . - № 8 . – გვ. 80 – 81.

ვაჟა-ფშაველას პორტრეტი (მხატვარი ბადრი გაგნიძე) და ალექსანდრე აბაშელის არქივში აღმოჩენილი უცნობი ფოტოსურათი. ნაწყვეტები მწერლის წერილებიდან.

1098. ამინაშვილი შ. გერონტი ქიქოძის მეგობრები // ნუგეში . – 2002 . - № 3 – 4 . – გვ. 120 – 124.

მეგობრების მოგონებები გ. ქიქოძეზე / დემნა შენგელაია, სიმონ ჩიქოვანი, ვიქტორ გაბესკირია, ვახტანგ ჭელიძე, აკაკი ბელიაშვილი და სხვ.

1099. ამირეჯიბი ჭ. ლეგენდიდან მოსული კაცი // მუდმივი კავშირის სამყარო . – 2001 . - № 2 . – გვ. 28 – 31. პარალელ. ტექსტი ინგლ. ენაზე.

ინტერვიუ მწერალ ჭ. ამირეჯიბთან მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

1100. არსენიშვილი ზ. «ჩემი ვიოლინო გავაჩუქე» // საქართველოს ქალი . – 2000 . - № 3 – 4 . – გვ. 8 – 9.

საუბარი მწერალ ზაირა არსენიშვილთან მის სამწერლო და მუსიკალურ მოღვაწეობაზე / ესაუბრა ლ. კაკაბაძე.

1101. არჩვაძე ნ. «ვატერ(პო)ლოო» – ზნეობრივი წვრთნა // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა . – 2002 – 2003 . - № 5 – 6 . – გვ. 308 – 316. რეზ. ინგლ. ენაზე.

გურამ დოჩანაშვილის მოთხრობა «ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოები» და ქართული კრიტიკა – ე. ჯაველიძე, გ. ნოდია, ლ. ბრეგაძე.

1102. ასათიანი-თევზაძე ს. ჩვენი თანამედროვე გიორგი ლეონიძე // ომეგა . – 2001 . - № 5 . – გვ. 106 – 107.

პოეტ-აკადემიკოს გ. ლეონიძის გახსენება : პიროვნული ხიბლი, ურთიერთობა უბრალო ადამიანებთან.

1103. ბაბლოვანი ც. მე-20 საუკუნის საბავშვო მწერლობის წარმატებების სპექტრი // ცისკარი . – 2000 . - № 6 . – გვ. 125 – 126.

თემატური და ჟანრობრივი მრავალფეროვნება მე-20 ს-ის ქართულ საბავშვო მწერლობაში.

1104. ბანცაძე მ. ექვთიმე თაყაიშვილის რუსთველოლოგიური ძიებანი // მწიგნობარი . – 2001 . – გვ. 188 – 212.

მეცნიერის მიერ მიკვლევული და აღწერილი პოემის ტექსტები, «ვეფხისტყაოსნის» სიუჟეტის წარმომავლობის პრობლემა, პოემის წყაროები და სხვა რუსთველოლოგიური საკითხები.

1105. ბარბაქაძე თ. ქართული ლექსმცოდნეობის საკითხები XX საუკუნის 60-იანი წლების პრესაში // ლიტერატურული ძიებანი . – 2003 . – ტ. 24 . – გვ. 370 – 377.

ქართული ლექსთწყობის საკითხებზე გამოქვეყნებული წერილების მიმოხილვა.

1106. ბარამიძე რ. მცირე დაკვირვება გრიგოლ ხანძთელის «ცხოვრების» კომპოზიციაზე // მწიგნობარი . – 2001 . – გვ. 129 – 135.

მთლიანი თხრობისა და ქვეთავების ურთიერთმიმართების შესახებ გიორგი მერჩულეს ნაწარმოებში.

1107. ბარამიძე რ. ქართული მწერლობის სათავეებთან // ლიტერატურული ძიებანი . – 2003 . – ტ. 24 . – გვ. 55 – 58. რეზ. ინგლ. ენაზე.

«ნინოს ცხოვრების» ადრეულ რედაქციაში დაცული ფრაზის _ «სადაც ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ» _ გაგებისათვის.

1108. ბარამიძე შ. სტუდენტთა საიუბილეო ადრესები // ბურჯი ეროვნებისა . – 2000 . - № 1 – 2 . – გვ. 6 – 8.

1908 წ. დეკემბერში თბილისში ჩატარებული აკაკი წერეთლის დაბადების 68-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო დღეებში რუსეთის ქალაქების უნივერსიტეტებიდან და უმაღლესი სასწავლებლებიდან ქართველი სტუდენტების მიერ გამოგზავნილი საიუბილეო მისალმებები.

1109. ბარნაბიშვილი მ. მოგონებები რევაზ ინანიშვილზე // არილი . – 2001 . - № 9 . – გვ. 8 – 9.

1110. ბაქრაძე ა. სტალინიადა // არილი . – 2001 . - № 1 . – გვ. 30 – 35.

სტალინის კულტი XX ს-ის 20-იანი წლების ქართულ პოეზიაში.

1111. ბაღაშვილი ზ. ილია ჭავჭავაძის «აჩრდილის» ლიტერატურულ-ესთეტიკური ანალიზი სკოლაში // ინტელექტი . – 2002 . - № 2 . – გვ. 90 – 92. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

1112. ბედიანიძე დ. რამდენიმე სიტყვა თანამედროვე ქართული პროზის შესახებ // ლიტერატურა და სხვა . – 2003 . – ივნისი . – გვ. 40 – 50. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

1113. ბეზარაშვილი ქ. ეფრემ მცირის კოლოფონების მთარგმნელობითი მეთოდებისა და ელინოფილური თარგმანის მახასიათებლების შესახებ: (მეორე წერილი) // ლიტერატურული ძიებანი . – 2003 . – ტ. 24 . – გვ. 103 – 117. რეზ. ინგლ. ენაზე.

1114. ბეთხოშვილი დ. «კორნელი კეკელიძის რუსთველოლოგიური ნააზრევი «ვეფხისტყაოსნის» ავტორის შესახებ» // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა . – 2002 – 2003 . - № 5 – 6 . – გვ. 95 – 101. რეზ. ინგლ. ენაზე.

1115. ბეკარიშვილი ი. «მუმანიკის წამების» ორი ადგილის გაგებისათვის // მწიგნობარი . – 2001 . – გვ. 177 – 187.

სიტყვა «ნავსადგურისა» და პურობის ეპიზოდის განხილვა.

1116. ბენაშვილი გ. არაბესკები // ლიტერატურული ძიებანი . – 2003 . – ტ. 24 . – გვ. 3 – 22.

ლიტერატურული ესეები «ვეფხისტყაოსნის», ნ. ბარათაშვილის, გალაკტიონის, ილია II-ის, შალვა კარმელის, აკაკი ბაქრაძის, რევაზ ინანიშვილის, ტერენტი გრანელის, გრიგოლ აბაშიძის, ბიძინა ავალიშვილის, გედი ჭყონიას, ალექსანდრე გვახარიას შემოქმედების შესახებ.

1117. ბერაძე ი. ნიკო ლომოური საბავშვო ლიტერატურისა და სასკოლო სახელმძღვანელოების შესახებ // ინტელექტი . – 2002 . - № 2 . – გვ. 70 – 72. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

1118. ბიბილეიშვილი ი. გია ჭანტურია – მწერალი // ნუგეში . – 2002 . - № 3 – 4 . – გვ. 110 – 112.

90-იანი წლების ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის გია ჭანტურიას მოთხოვნების განხილვა – «ცხოვრების სამართალი», «რამდენიმე სურათი უცნაური ბავშვის ცხოვრებიდან», «ახალი იერემიას გოდება», «ტაქსში», «მათხოვარი», «ხვალ», «მოსე» და სხვ.

1119. ზოგომლოვი ი. აკაკი წერეთლის ნაკლებად ცნობილი კომედია // ლიტერატურა და სხვა . – 2001 . - № 1 . – გვ. 126 – 135.

მწერლის მიერ რუსულ ენაზე შექმნილი პიესები. რუსეთის თავადაზნაურულ-ჩინოვნიკური საზოგადოების სატირული სურათი ცენზურით აკრძალულ კომედიაში – «ქართველი და სომეხი».

1120. ბრეგაძე ლ. ორი ფინალი // არილი . – 2001 . - № 9 . – გვ. 7 – 8.

ერთი და იგივე ამბის ორი განსხვავებული დასასრული რეზო ინანიშვილის მოთხოვნებში – «შავი ალაყაფი» და «ძალიან უბრალო სიმღერა».

1121. ბუაჩიძე ა. ლირიკის აპოთეოზი // არილი . – 2001 . - № 3 . – გვ. 1 – 4.

საუბარი პოეტ ა. ბუაჩიძესთან მე-20 ს-ის ქართულ კულტურასა და ლიტერატურაზე / ესაუბრა ალექო ბერიძე.

1122. ბუაჩიძე ა. ცარიელ ველზე მოხეტიალე // არილი . – 2000 . - № 3 . – გვ. 1 – 2.

თამაზ ბაძაღლუას პოეზია.

1123. ბუცხრიკიძე მ. თარგმანის სასწაული : («წვრილმანი ამბები დოვ გაპონოვისა და მისი შემოქმედების შესახებ») // ლიტერატურა და სხვა . – 2001 . - № 1 . – გვ. 190 – 201.

ებრაულ ენაზე «ვეფხისტყაოსნის» მთარგმნელის დოვ გაპონოვის ბიოგრაფია და შემოქმედება, ისრაელში ებრაულ ენაზე გამოცემული კრებულის «წვრილმანი ამბების» მიხედვით.

1124. გაბიძაშვილი ე. ქართული ჰაგიოლოგიის ისტორიიდან // მწიგნობარი . – 2001 . – გვ. 166 – 176.

თევდორე მღვდლის თემასთან დაკავშირებული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები.

1125. გაბოძე ჯ. ქართველთა წიგნის გამომცემელი ამხანაგობა და აკაკის «თხზულებანის» გამოცემის ისტორია // ლიტერატურული ძიებანი . – 2003 . – ტ. 24 . – გვ. 336 – 341. რეზ. ინგლ. ენაზე.

1890 წელს თბილისში დაარსებული «წიგნის გამომცემელი ქართველთა ამხანაგობის» საქმიანობა და მისი როლი ქართველ კლასიკოსთა თხზულებების გამოცემის საქმეში. აკაკი წერეთლის თხზულებათა ორი ტომის გამოცემა. პოლემიკა აკაკისა და «ქართველთა ამხანაგობას» შორის.

1126. გადილია ი. ლადო ასათიანის პოეზიის მხატვრული თავისებურება // ინტელექტი . – 2001 . - № 1 . – გვ. 126 – 129. რეზ. რუს. და ინგლ. ენაზე.

მხატვრული ხერხების – მეტაფორა, შედარება, ეპითეტი, ალიტერაცია და სხვ. – ხშირი და უხვი გამოყენება ლ. ასათიანის ლირიკაში.

1127. გადილია ი. ლადო ასათიანის – «ცაგერის ბაზრობა» // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა . – 2002 – 2003 . - № 5 – 6 . – გვ. 291 – 298. რეზ. ინგლ. ენაზე.

ლექსის ანალიზი.

1128. გალდავა მ. რამაზ მეფისა და ფატმანის ზნეობითი კათარზისისათვის ვეფხისტყაოსანში // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა . – 2002 – 2003 . – № 5 – 6 . - გვ. 78 – 83. რეზ. ინგლ. ენაზე.

ცალკეული ეპიზოდების ანალიზის საფუძველზე ავტორი გვიჩვენებს, რომ პერსონაჟები, რომლებსაც ახასიათებთ არამართებული ზნეობითი პრინციპები, განიცდიან სინანულს, სინდისის ქენჯნას, რაც მთლიანად ცვლის ადამიანის შინაგან სამყაროს, ხდება პიროვნების სულიერ-ზნეობითი ტრანსფორმაცია _ კათარზისი.

1129. გარაყანიძე დ. «თითოეულ ადამიანში დაფარულია ღვთის ნაპერწკალი» // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა . – 2002 – 2003 . - № 5 – 6 . – გვ. 303 – 307. რეზ. ინგლ. ენაზე.

ადამიანური სიკეთის, სიყვარულის, მადლიერებისა და თანადგომის ჰიმნი ნოდარ დუმბაძის რომანში «მარადისობის კანონი». მითოლოგიური და ბიბლიური თემების გამოყენება მწერლის ზნეობრივი მრწამსის წარმოსაჩენად.

1130. გენძეხაძე ც. 60-იანი წლების კრიტიკა და პუბლიცისტიკა // ლიტერატურული ძიებანი . – 2003 . – ტ. 24 . – გვ. 295 – 311. რეზ. ინგლ. ენაზე.

XX ს-ის 60-იანი წლების ქართული ლიტერატურული კრიტიკისა და პუბლიცისტიკის ანალიზი.

1131. გვახარია ალ. «ვისრამიანი» _ ქართული მთარგმნელობითი ოსტატობის მწვერვალი // არილი . – 2000 . - № 15 . – გვ. 7 – 9.

სპარსული სამიჯნურო პოემის «ვის ო რამინ»-ის ქართული თარგმანის ტექსტუალური ანალიზი.

1132. გვახარია ალ. «ნურასოდეს დაბერდებით» // არილი . – 2001 . - № 17 . – გვ. 1 – 2.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ნიკო ყიასაშვილის დაბადებიდან 75 წლისთავის გამო – გახსენება.

1133. გვახარია ალ. ქართული მთარგმნელობითი ოსტატობის მწვერვალი // ლიტერატურა და სხვა . – 2001 . - № 1 . – გვ. 99 – 111.

«ვისრამიანის» ქართულ-სპარსული ტექსტების შედარება-შეპირისპირება. პოეტური ორიგინალის მხატვრულ-შინაარსობრივი თავისებურებების მაქსიმალურად ადეკვატური გადმოცემა, დედნის სტილისტიკის ერთგულება სარგის თმოგველის ქართულ თარგმანში.

1134. გვახარია ალ. ქართული ფილოლოგიის დიდოსტატი : ალექსანდრე ბარამიძე 100 // მწიგნობარი . – 2002 . – გვ. 269 – 280.

ცხოვრება და მოღვაწეობა.

1135. გვეტაძე ო. ილია ჭავჭავაძის სახისმეტყველება // ბურჯი ეროვნებისა . – 2001 . - № 8 – 9 . – გვ. 10 – 12.

სტილისა და გამოსახვის საშუალებების თავისებურებები, მხატვრული მრავალპლანიანობა.

1136. გვეტაძე ო. «მაშინ არ ავად ვიყვნით» // ბურჯი ეროვნებისა . – 2000 . - № 1 . – 2 . – გვ. 20 – 22.

ავთანდილ ყურაშვილის ლექსი “Куда аქვე. Каму... ამირანდარეჯანის ძის მოკითხვამდე... Адрес – სოფ. ღვირიში” და მოსე ხონელის «ამირანდარეჯანიანი». თანამედროვე ქართველი პოეტის ნაწარმოებსა და ძველი ქართული სარაინდო რომანის მხატვრულ სამყაროთა ურთიერთმიმართება.

1137. გიგაშვილი ვ. მოთხრობები პოეტზე, რომელიც იშვიათად წერდა ლექსებს . – თბ. , 2001 . – 114 გვ.

რეც. : ანთაძე ბიძინა. საუბრები უბის წიგნებზე // არილი . – 2001 . – № 15 . – გვ. 30 – 31.

